სკოპინგის დასკვნა N64

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 10000 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ორიონი“ (ს/კ 421276620);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა მესხეთი (ბროწეულა);

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 15.09.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ეკოკონსალტინგი რრ“

ძირითადი საპროექტო მონაცემები

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ორიონმა“ (შემდგომ - კომპანია) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა მესხეთში დაგეგმილი საქმიანობის (10000 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა მესხეთში (ბროწეულა), შპს „ორიონის“ საკუთრებაში არსებულ, 14430 $მ^2$ ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო (ს/კ 29.13.35.378, ს/კ 29.13.35.382, ს/კ 29.13.35.383) და არასასოფლო-სამეურნეო (ს/კ 29.13.35.024, ს/კ 29.13.35.128, ს/კ 29.13.35.130, ს/კ 29.13.35.339) დანიშნულების 7 მიწის ნაკვეთზე. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სტატუსის არასასოფლო-სამეურნეოდ შეცვლის პროცედურა დაწყებულია. ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა იქნება 10000 $მ^3$ (ბენზინის საწვავი 4000 $მ^3$, დიზელის საწვავი 6000 $მ^3$). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 26 მეტრში. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან, დაახლოებით 50 მეტრში, ესაზღვრება სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული სარკინიგზო ხაზი, ხოლო 1400 მეტრში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი ს1 - თბილისი-სენაკი-ლესელიძე. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან (ს/კ 29.13.35.130) დაახლოებით 42 მეტრში მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სარწყავი სისტემის არხი (ს/კ 29.00.234).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის და მისი განხორციელების ნულოვანი (არაქმედების), ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესის შესახებ, ასევე მწარმოებლურობის, დატვირთვის,

შემცირება/გადიდების ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციით, ობიექტის განთავსების ადგილის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების მიღება, დროებით შენახვა და გაცემა. ტერიტორიაზე დაგეგმილია 7 ერთეული მიწისზედა ლითონის ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარის მოწყობა რომლის შემადგენლობაში შევა: ბენზინის 4 რეზერვუარი (თითოეული 1000 მ^3 მოცულობის) და დიზელის 3 რეზერვუარი (თითოეული 2000 მ^3 მოცულობის). ჯამში ბენზინისთვის განკუთვნილი იქნება - 4000 მ^3, ხოლო დიზელის საწვავისთვის - 6000 მ^3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების წლიური ტვირთბრუნვა (მიღება-გაცემა) იქნება 100000 მ^3 (ბენზინი 40000 მ^3/29200 ტონა და დიზელი 60000 მ^3/48000 ტონა).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: რკინიგზის ჩიხი; ვაგონცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიმღები სისტემა, ტექნოლოგიური მილგაყვანილობა; ნავთოპროდუქტების მიღებისა და გაცემის სატუმბო სადგურები; სარეზერვუარო პარკი; ნავთობპროდუქტების ავტოგასამართი კუნძული; სანიაღვრე წყლების მიმღები–ნავთობდამჭერი; ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოები; 400 მ^3 მოცულობის სახანძრო წყალმომარაგების რეზერვუარი; 60 მ^3 მოცულობის ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაგროვებელი რეზერვუარი; სატრანსფორმატორო ქვესადგური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე ნავთობპროდუქტების მიღება/გაცემის ოპერაციების განხორციელება გათვალისწინებულია რკინიგზის ვაგონცისტერნებით და ავტოცისტერნებით. საწვავის გადაადგილების ყველა ოპერაცია განხორციელდება ტექნოლოგიური მილსადენების სისტემის საშუალებით. ნავთობპროდუქტების შესაბამის რეზერვუარებში განთავსება მოხდება სატუმბი სადგურების (ტუმბოების) საშუალებით. ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების მიღებასა და მათ რეზერვუარებში გადატუმბვას, საიდანაც საწვავი ავტოცისტერნებში ჩასატვირთად ტუმბოებით მიეწოდება გამცემ უბანს. ტექნოლოგიური მილგაყვანილობა მოეწყობა ძირითადად მიწის ზემოდან, რკინაბეტონის დაბალ საყრდენებზე, ხოლო გზებისა და მოედნების გადაკვეთის ადგილებში - მიწისქვეშ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო (რეზერვუარებისა და ტექნოლოგიური მოედნების რეცხვა, მორწყვა და სხვა) და სახანძრო დანიშნულებით. ობიექტის წყალმომარაგება მოხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი წყალმომარაგების არსებული ქსელიდან. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო-სანიაღვრე და სანიაღვრე წყლები. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება სპეციალურ რეზერვუარში, რომელიც განიტვირთება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო კოლექტორში. საწარმოო (რეზერვუარებისა და

ტექნოლოგიური მოედნების ნარეცხი წყლები) და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის და გასაწმენდად მოეწყობა სადრენაჟო სისტემა. შეგროვებული საწარმოო-სანიაღვრე წყლები ჩაედინება 6 ლ/წმ წარმადობის კომპაქტურ გამწმენდი ნაგებობაში, ხოლო გაწმენდის შემდეგ - საწარმოოს ტერიტორიაზე დაგეგმილ სპეციალური შეგროვების ტბორში. აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა ითვალისწინებს წყლების ორსაფეხუროვან გაწმენდას. ტბორში დაგროვილი სითხის პერიოდულად გატანა და დაცლა მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კანალიზაციის კოლექტორში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 18 თვეს. საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, ორი ცვლა, ცვლების ხანგრძლივობა იქნება 8 საათი. სამშენებლო მასალებისა და დანადგარ-მოწყობილობისთვის ობიექტზე გამოიყოფა ცალკე ტერიტორია. სამშენებლო მოედნის ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება არსებული ქსელიდან, დროებითი სქემის გამოყენებით.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები. ასევე, მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ტექნიკა-დანადგარების მუშაობასთან, საშემდუღებლო საქმიანობასა და არსებული ქიმიური ნივთიერებების (საწვავ-საპოხი მასალა, საღებავები და სხვ.) აირად ემისიებთან. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებია: სარეზერვუარო პარკი, ნავთობპროდუქტების მიღების/გაცემის სატუმბი სადგურები, ნავთობპროდუქტების გაცემის უბანი და ნავთობდამჭერი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების მიღების, გაცემისა და შენახვის პროცესს თან ახლავს ნახშირწყალბადების დიდი რაოდენობით აორთქლებით გამოწვეული დანაკარგები, რომლის შემცირება შესაძლებელია ორთქლის დაჭერის და აღდგენის სისტემების გამოყენებით. რეზერვუარებში საწვავის ჩატვირთვის და მისი შენახვის დროს წარმოქმნილი ორთქლის ატმოსფერულ ჰაერში მოხვედრის შესამცირებლად დაგეგმილია ორთქლის რეკუპერაციის ადსორბციულ-ვაკუუმური მეთოდის დანადგარის გამოყენება. აქტივირებული ნახშირით შთანთქმული ორთქლისგან მიღებული თხევადი ფაზა ბრუნდება რეზერვუარში. რეკუპერატორი შედგება სამი - ორი აქტიურნახშირიანი (მშთანთქმელი და სარეგენერაციო) და ერთი ორთქლის თხევად ფაზაში გადასაყვანი კამერისგან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დანადგარი უზრუნველყოფს ორთქლის 95%-იანი ეფექტურობით დაბრუნებასა და გაწმენდას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ზუსტი მაჩვენებლები წარმოდგენილი იქნება საქმიანობის გზშ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები. ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ნავთობპროდუქტების მიმღები და გასაცემი სატუმბო სადგურების ფუნქციონირება (სულ 6 ტუმბო). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის დონეების გადაჭარბება. ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (საანგარიშო წერტილში) ხმაურის დონე შეადგენს 54.143 დბა-ს, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 46.123 დბა-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით, ობიექტზე გათვალისწინებულია რიგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: საწარმოო შენობის სათავსოების მოწყობის დროს ხმაურსაიზოლაციო მასალების გამოყენება; მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში ხმაურდამცავი ბარიერის (ეკრანები) მოწყობა და სხვ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საცავის მოწყობა იგეგმება ტექნოგენური ლანდშაფტის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილია მცირე რაოდენობით. ამასთან აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეები და ცხოველები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის ფარგლებში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არ ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის საწარმოები. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მიწის სამუშაოებისას მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოიხსნა და მიმდებარე ტერიტორიაზე დასაწყობება, რომელიც შემდგომ გამოიყენება სარეკულტივაციოდ. ამასთან, ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურება შესაძლებელია მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ, მასალების და ნედლეულის შენახვის წესების დარღვევამ, ასევე სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების დაღვრამ. ამასთან, რეზერვუარების დაზიანების შემთხვევაში დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით, სარეზერვუარო პარკის ირგვლივ, მთელ პერიმეტრზე, მოეწყობა პირამიდის ფორმის თიხის შემოზვინვა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. ობიექტზე დაგეგმილია ნარჩენების მახასიათებლების მიხედვით, სეპარირებულად შეგროვება, ხოლო საბოლოო მართვის მიზნით ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ასევე, გაეგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 10 ოქტომბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა მესხეთის რიტუალების სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ორიონის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ეკოკონსალტინგი რრ“-ის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ასევე დაინტერესებული საზოგადოება.

დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: საპროექტო ტერიტორიის უშუალოდ დასახლებულ პუნქტთან მდებარეობას; მავნე ნივთიერებების გაფრქვევასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას; დასახლებული პუნქტის მიმდებარედ, წარსულში არსებული საწარმოს დარღვევებით გამოწვეული ზემოქმედებით მოსახლეობაში არსებულ უარყოფით განწყობას; რეკუპერაციის დანადგარში ჩართული გაფრქვევის წყაროებს და სხვა. გარდა ამისა, საჯარო განხილვაზე დამსწრე პირმა აღნიშნა, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე მცხოვრები მოსახლეობა ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობის წინააღმდეგია, რის გამოც საჯარო განხილვაზე დასწრებაზე უარი განაცხადეს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ორიონის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ეკოკონსალტინგი რრ“-ის და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ- ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია ობიექტის ტერიტორიის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური საქმიანობის პროფილის მქონე ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ობიექტის ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტომასალა) და გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, სარეზერვუარო პარკების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების (ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული და დაგეგმილი ობიექტების ცალკე ასახვით), ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა. ნავთობპროდუქტების საცავების ტექნოლოგიური სქემის მითითებით (ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის, გაცემის ოპერაციების თანმიმდევრული აღწერა და წარმადობები (დღე-ღამე/წელი));
- ობიექტის ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და გაცემის შესახებ (სატრანსპორტო/სარკინიგზო) დეტალური ინფორმაცია (სამოძრაო მარშრუტების, ტრანსპორტირების სქემისა და ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრაფიკის მითითებით). ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის

გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების (წარმოქმნის წყაროების მითითებით) რაოდენობისა და მართვის შესახებ (მათ შორის, ინფორმაცია წყლის შემადგენლობის შესახებ, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ, ასევე წყლების შეკრებისთვის და შესაბამის გამწმენდ სისტემაში მიწოდებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის შესახებ, სქემატურ ნახაზზე ასახვით);
- ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- ინფორმაცია სახანძრო რეზერვუარის შესახებ (განთავსების ადგილმდებარეობა, მოცულობა, პარამეტრები);
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე, მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების შესახებ; ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში, ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა და სხვა);
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო რეზერვუარების დასუფთავების ტექნოლოგიის შესახებ;
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- სარეზერვუარო პარკებში შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის) მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა. ასევე, ტექნოლოგიური მილგაყვანილობის ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვის საკითხები. დეტალური ინფორმაცია სარეზერვუარო პარკებიდან და სხვა უბნებიდან შესაძლო დაღვრილი ნავთობპროდუქტის მოცულობის შეკავების შესახებ (სარეზერვუარო პარკების ტერიტორიის სითხეგაუმტარი ფენით დაფარვის საკითხები, სარეზერვუარო პარკების შემოზვინვის დეტალური დახასიათება, რომლის პარამეტრები და შიდა სასარგებლო მოცულობა გაანგარიშებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტები ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის);
- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე (მათ შორის, გამწმენდ/ნავთობდამჭერ ნაგებობებში, რეზერვუარებში დაგროვილი ნავთობშლამების) წარმოქმნილი შლამების შესახებ, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის

კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. ასევე, დაზუსტებული ინფორმაცია ლამის (მათ შორის, ნავთობშლამების) დროებითი დასაწყობების ადგილის, პირობებისა და ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობის შესახებ;

- ინფორმაცია ნავთობდამჭერი/გამწმენდი ნაგებობისა ან/და სალექარის შესახებ, საპასპორტო მონაცემების მითითებით (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, წარმადობა, გაწმენდის ეფექტურობა, წყლის დაყოვნების დრო და სხვ.);
- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების შესაძლო შემადგენლობის შესახებ, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ;
- დეტალური ინფორმაცია რეკუპერაციის სისტემის შესახებ (საპასპორტო მონაცემები და რეკუპერაციის სისტემაში გაერთიანებული მექანიზმ-დანადგარები);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, ინფორმაცია როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის (მათ შორის ადგილობრივების წილის), ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, დასახლებული პუნქტის მიმართულებით გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ (საქმიანობის დაწყებამდე) მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

5.1. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (საწვავის მიღების/გაცემის დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებები). მათ შორის, ინფორმაცია აირგამწმენდი სისტემის შესახებ (აირგამწმენდი სისტემის შესაბამისი საპასპორტო მონაცემების და ეფექტურობის მითითებით);

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაბნევის ანგარიში;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების დადგენის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500-მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
- ინფორმაცია საპროექტო სარეზერვუარო პარკების ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების შესახებ. იდენტიფიცირებული წყაროდან/წყაროებიდან სუნის გავრცელების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმაურის გაანგარიშება/მოდელირება, გამოყენებული მეთოდის/ფორმულის მითითებით, ასევე გაანგარიშების შედეგად გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ხმაურწარმომქმნელი ობიექტების ხმაურის დონეები, ასევე გარემო ფაქტორები რაც მოქმედებს ხმაურის გავრცელების დონეებზე (ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰიფსომეტრიული და სხვა ბარიერები). იმ შემთხვევაში, თუ გაანგარიშების შედეგად დადგინდება, რომ ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან აჭარბებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტო N398 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტს - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“, წარმოდგენილი უნდა იქნეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი დასაბუთებით;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი, პერიოდულობისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის სიხშირის მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. ასევე ინფორმაცია დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, კერძოდ: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. ასევე, ინფორმაცია გეოლოგიურ გარემოზე

ზემოქმედების შესახებ, მათ შორის: გრუნტის წყლებზე ზემოქმედება; საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

- დეტალური ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მეტრიანი რადიუსის საზღვრებში) არსებული და დაგეგმილი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ასევე ხმაურისა და სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედებების ნაწილში). ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. გზშ-ის ანგარიშში ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი და წარმოდგენილი ინფორმაცია ბიოლოგიური გარემოს შესახებ. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიას ახასიათებს მკვეთრად სახეცვლილი, ტექნოგენური ლანდშაფტი და ხე-მცენარეული საფარი არ არის წარმოდგენილი, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით და საპროექტო ტერიტორიის ადგილზე ვიზუალურად დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ ფიქსირდება ხე-მცენარეული საფარი. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დამატებითი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარის შესახებ.

მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს, დაგეგმილია თუ არა პროექტის ფარგლებში ხე-მცენარეების ჭრა, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში მითითებული უნდა იქნას მოსაჭრელი ხე-მცენარეების სახეობები, რაოდენობა და მოცულობა;

- სკოპინგის ანგარიშში საფუძვლიანად არ არის აღწერილი/შეფასებული საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნება და მასზე (მათ შორის, იქ არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე) მოსალოდნელი ზემოქმედება. შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმალურად შეფასების თაობაზე საჭიროებს დამატებით შესწავლასა და საფუძვლიან დასაბუთებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემოს დეტალური აღწერა. კერძოდ, საჭიროა განხორციელდეს ბიოლოგიური გარემოს კვლევა, ასევე შეფასდეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლო ეკოლოგიური რისკები (მაგალითად, ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში), ხოლო კვლევისა და შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს შესაბამისი პრევენციული ქმედებები;
- გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს მონიტორინგის გეგმას, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ცხოველებსა და ფრინველებზე დაკვირვების შესახებ;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების საზღვრიდან დაახლოებით 40-45 მეტრში განთავსებულია კომპანიის კაპიტალში (ბალანსზე) რიცხული მაშველის სარწყავი სისტემის შემაერთებელი მაგ. არხის გ-3-4 გამანაწილებელი (ს/კ 29.00.234). გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიიდან ნავთობპროდუქტების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე არხის დაბინძურებისაგან დაცვის საკითხი. გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტერიტორიას სამხრეთით, დაახლოებით 50 მეტრში ესაზღვრება სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული სარკინიგზო ხაზი. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში შეადგენს 54.143 დბა-ს, რაც „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტო №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დაშვებულ დღის საათებისთვის დადგენილი ნორმას 4,.143 დბა-ით გადააჭარბებს. ამასთან მოცემულია, რომ დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით მშენებლობის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი". გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების დეტალური შეფასება, ეფექტიანი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით განხორციელებული გაანგარიშების მითითებით;

- 3.2.1 ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია „საპროექტო საწარმოს მშენებლობის ეტაპზე" და „საპროექტო საწარმოსთვის" მოსალოდნელია ხმაურის დონეების გაანგარიშებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული სახელწოდებები განმარტებებს საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში შეადგენს 46.123 დბა-ს, რაც საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტო №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დაშვებულ **დღის (50 დბა) საათებისთვის** დადგენილ ნორმას 6.123 დბ-ით გადააჭარბებს. როგორც სკოპინგის ანგარიშშია აღნიშნული, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ტერიტორიებისთვის, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს - დღის ნორმა შეადგენს 50 დბა, ხოლო ღამის - 40 დბა. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ობიექტი იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში ორი ცვლა, ხოლო ცვლების ხანგრძლივობა იქნება 8 საათი (დღე-ღამეში ჯამში 16 სთ). ამასთან, 3.2.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამავე ქვეთავში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში შეადგენს 46.123 დბა-ს, რაც დღის (50 დბა) საათებისთვის დადგენილი ნორმას 6.123 დბ-ით გადააჭარბებს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია როგორც საწარმოს სამუშაო საათებისა და ცვლების შესახებ, ასევე 3.2.2 ქვეთავში მოცემული ინფორმაცია (გაანგარიშების მითითებით) ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ. კერძოდ, 2.1. ქვეთავში („დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა") აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს არანაკლებ 26 მეტრს, რაც ასევე დატანილია 2.1.6. ნახაზზე, თუმცა მე-3 თავში („ზოგადი ინფორმაცია გარემოზე

შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში“) მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც მიწის საზღვრიდან დაცილებულია 690 მ-ით.“ ამასთან, 3.2. ქვეთავში მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების ნაწილში აღნიშნულია, რომ „ძირითად საანგარიშო წერტილად აღებულია სამშენებლო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიის საზღვარზე, რომლის პირდაპირი დაცილების მანძილი, ამ ხმაურის წყაროების განთავსების გეომეტრიული ცენტრიდან, საპროექტო საწარმოსათვის დაახლოებით 180 მ-ს შეადგენს.“ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 26 მეტრით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ (როგორც საკადასტრო საზღვრიდან, ასევე ხმაურწარმომქმნელი ობიექტებიდან/დანადგარებიდან), ხოლო დაზუსტებული მანძილის შესაბამისად უნდა იქნას შეფასებული/გაანგარიშებული მოსალოდნელი ზემოქმედებები (ხმაური, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, სუნის გავრცელება და სხვ.);

- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები (ხმაურის წყაროებსა და საცხოვრებელ სახლებს შორის დამატებითი ხმაურდამცავი ბარიერების (ეკრანები) განთავსება.“ შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ხმაურდამცავი ღონისძიების (მათ შორის, ხმაურდამცავი ეკრანი ან/და სხვ.) შესახებ. შერჩეული ხმაურდამცავი ბარიერის ტიპის, პარამეტრების, განთავსების ადგილმდებარეობისა (სქემატურ ნახაზებზე ასახვით) და ეფექტურობის (შესაბამისი გაანგარიშების) მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 7 მეტრში, ხოლო დასავლეთით - დაახლოებით 12 მეტრში მდებარეობს უახლოესი არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ: 29.13.35.156 და 29.13.35.371). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულებისაა;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ობიექტის მოწყობა დაგეგმილია როგორც არასასოფლო-სამეურნეო, ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს საპროექტო

ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთების სტატუსის ცვლილების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ზოგიერთი ნახაზი, სქემა და სურათი წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის **2.2.1 ქვეთავში** რეზერვუარების რაოდენობასთან დაკავშირებით მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. კერძოდ, აღნიშნული ქვეთავის პირველ აბზაცში მითითებულია, რომ მოეწყობა 6 ერთეული (4 ერთეული 1000 $м^3$ და 2 ერთეული 2000 $м^3$) ბენზინისა და დიზელის რეზერვუარი. თუმცა ამავე ქვეთავში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, სარეზერვუარო პარკი შედგება ბენზინის 4 (ჯამში - 4000 $м^3$) და დიზელის 3 (ჯამში - 6000 $м^3$) რეზერვუარისაგან. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების რაოდენობა (როგორც ბენზინის, ასევე დიზელის) და მათი ჯამური მოცულობა;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა ითვალისწინებს წყლების ორსაფეხუროვან გაწმენდას. ამასთან აღნიშნულია, რომ „დანადგარის პირველი საფეხურის სალექარში იწმინდება 80%, ხოლო მეორე საფეხურზე ფილტრებში გავლის შემდეგ იწმინდება: I საფეხურის ფილტრში 92%, ხოლო II საფეხურის ფილტრში - 99%.“ გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს სალექარის შესახებ ინფორმაცია, საფეხურების რაოდენობის მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის რაოდენობის გაანგარიშების ფორმულაში გამოიყენება დღე-ღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის ერთ მუშაკზე საჭირო წყლის ნორმა, სადაც მითითებულია, რომ წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის (ტუალეტის ჩარეცხვა, ხელების დაბანა, შხაპის მიღება). ამასთან მითითებულია, რომ წყლის **მიღებული ხარჯი საშხაპეს შემთხვევაში** N=0,125 $м^3$/დღ შეადგენს 125 ლიტრს/ერთ მუშაკზე (ანუ 0,125 $м^3$-ს). დაზუსტებას საჭიროებს გაანგარიშებაში მოცემულია მხოლოდ საშხაპეს შემთხვევაში საჭირო წყლის რაოდენობა, თუ ჯამურად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის საჭირო რაოდენობა;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო-**სანიაღვრე** და **სანიაღვრე** წყლები. ამასთან აღნიშნულია, რომ „**საწარმოო-სანიაღვრე წყლებად** განიხილება რკინიგზის და მანქანებში ჩასასხმელი ესტაკადების ტერიტორიიდან, რეზერვუარების პარკიდან, სატუმბო სადგურიდან და სხვა ტექნოლოგიური ობიექტებიდან მიღებული წყლები. **სანიაღვრე ჩამდინარე წყლებად** განიხილება ატმოსფერული ნალექების შედეგად დანარჩენი ტერიტორიიდან მიღებული წყლები, ხოლო ამავე ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „**საწარმოო (რეზერვუარებისა და ტექნოლოგიური მოედნების ნარეცხი წყლები) და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების** შეგროვებისა და გაწმენდის ამოცანების გადასაწყვეტად მოეწყობა ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაბინძურებული წყლების შეკრების და არინების დამოუკიდებელი სადრენაჟო სისტემა.“ გზშ-ის ანგარიშში გამიჯნული უნდა იქნას საწარმოო და სანიაღვრე წყლების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი განმარტებების მითითებით),

ხოლო ზემოაღნიშნული ჩანაწერები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი;

- სკოპინგის ანგარიში მოიცავს სხვადასხვა ტექნიკურ ხარვეზებს, მაგალითად: საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი წყალსატევია მდინარე რიონი, რომელიც მიედინება საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთის მხარეს, არანაკლებ **1,870 კმ-ის დაშორებით** (იხ. ნახაზი 2.1.7); საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეთის მიმართულებით, დაახლოებით **1,440 კმ-ში** გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 - თბილისი-სენაკი-ლესელიძე - საქართველოს ყველაზე გრძელი საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალი. გზშ-ის ეტაპზე აღნიშნული ჩანაწერები, სიგრძის ერთეულებთან მიმართებით, კორექტირებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი სარკინიგზო ჩიხის შესახებ (მათ შორის, Shp ფაილებში, სქემებსა და ნახაზებზე მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი რეზერვუარების და სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო მიწის სამუშაოების დროს აუცილებელია მოიხსნას ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა შემდეგ გამოყენებული იქნეს სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.“ თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის შესახებ. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის მოხსნის/ამოღების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N424 დადგენილებით დამტკიცებული ,,ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის/გრუნტის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (მათ შორის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ხარისხის შესანარჩუნებლად სპეციალურად გამოყოფილი ადგილის შესახებ) მითითებით (GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, შემდგომი მართვის მიზნით განახორციელებს **ქ. რუსთავის** დასუფთავების სამსახური“ საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ადგილობრივი წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მოწყობა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშში (მათ შორის, სქემატურ ნახაზებზე ჩვენებით);
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივად განხილული იქნა კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე **2792 მ² ფართობის** მიწის ნაკვეთი (ს/კ: 29.13.35.072), თუმცა შერჩეული იქნა შპს „ორიონის“ საკუთრებაში არსებული, **14430 მ² ჯამური ფართობის** სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. უარყოფილი საპროექტო ტერიტორია მნიშვნელოვნად მცირეა (შერჩეულზე 11638 მ²-ით ნაკლები) დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად (რეზერვუარების პარამეტრებისა და

დამხმარე ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით), რაც აღნიშნული ტერიტორიის ალტერნატიული განთავსების ვარიანტად განხილვის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. ამასთან, შერჩეული ტერიტორიის უპირატესობად განხილულია ტერიტორიის მაღალი ტექნოგენური დატვირთვიდან და საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან მნიშვნელოვანი მანძილით დაშორების გათვალისწინებით, ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმალური რისკები, საპროექტო ტერიტორიის განთავსების რეგიონში განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, აღნიშნული კომუნიკაციების მოწყობისთვის დამატებითი ხარჯების გაღების თავიდან აცილება და სხვ. ვინაიდან უარყოფილი ალტერნატიული ტერიტორია მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 83 მეტრში, ამასთან, მიწის ნაკვეთი, შერჩეული ტერიტორიისგან განსხვავებით, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას წარმოადგენს და იმის გათვალისწინებით, რომ სკოპინგის ანგარიშში არასათანადოდ არის განხილული საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემო და მასზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შერჩეული ტერიტორიის ზემოაღნიშნული უპირატესობები დამატებით განმარტებას საჭიროებს. ასევე, საფუძვლიან დასაბუთებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტებიდან შერჩევის საკითხიც;

- სკოპინგის ანგარიშში ასახული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენ-გეგმაზე (2.2.1 და 3.2.2.1 ნახაზები) მოცემულია ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემგროვებელი რეზერვუარი (60 $მ^3$) და სატრანსფორმატორო ქვესადგური, თუმცა ტექსტურ ნაწილში აღნიშნულ რეზერვუართან და ქვესადგურთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება. შესაბამისად, აღნიშნული რეზერვუარისა და მისი მართვის/გამოყენების საკითხი, ასევე ინფორმაცია სატრასნფორმატორო ქვესადგურის შესახებ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს.
- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.**

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ორიონის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა მესხეთში 10000 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების,

მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.